მანანა სურამელაშვილი
თბილისი

## XVIII საუკუნის კოშკური საცხოვრებელი ბეთლემის კლდისუბანში

თბილისს წარსულში განახლების ტალღები ხშირად ეხებოდა, რაც ბუნებრივი განვითარების პროცესს გარდა მის რთულ ისტორიასთანაც იყო დაკავშირებული. შუა საუკუნეების ქალაქის არქიტექტურული სახის მკვეთრი ცვლილება – XIX საუკუნის დამდეგიდან ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე საყოველთაო რეფორმებთან ერთად,– 1795 წლის სექტემბრის ცნობილმა ტრაგიკულმა მოვლენამ, აღა მაჰმად ხანის მიერ ქალაქის დარბევამ და ნგრევის დიდმა მასშტაბმაც განაპირობა. სავალალო შედეგების შესახებ არაერთ ავტორთან დამოწმებული ცნობები გარკვეულად წინააღმდეგობრივ სურათს ხატავს. თუ გამბა 1820 წლის თბილისის აღწერისას ნანგრევებით სავსე ქუჩებზე მიუთითებს,ამის საპირისპიროდ ს.ჭრელაშვილი[1] აოხრებული ქალაქის მდგომარეობის გამოსწორებისა და აღდგენითი სამუშაოების დაუყოვნებლივ დაწყებაზე საუბრობს თავის წერილში – „Тифлис, по обыкновению, начал вновь обстраиваться, бежавшее население стало возвращаться под свои разрушенныя кровли, и город в течение 5 лет, до присоединения Грузии к России был почти реставрирован, так что в момент утверждения русской власти в крае Тифлис насчитывал у себя около 2, 300 домов... »

აქედან ჩანს, რომ თვით რეალობა იყო რთული და ორივე ტიპის ცნობა გარკვეული კუთხით ასახავდა სინამდვილეს – თბილისის საცხოვრებელი ნაგებობების დიდი ნაწილი XVIII საუკუნის მიწურულს დაინგრა, მაგრამ არა ერთიანად; ქალაქის განაშენიანება XIX საუკუნეში ახალ ისტორიულ ვითარებაში, ახალი ცხოვრებისეული მოთხოვნების შესაბამისად განახლდა, მაგრამ ძველ თარგზე, ძველ ნაფუძარზე, ტრადიციული არქიტექტურული ფორმებით, მასალით, ადგილობრივი ოსტატების ხელით. ანუ განახლებული თბილისის საცხოვრებელი არქიტექტურა არა მხოლოდ გენეტიკური მემკვიდრე გახდა ძველისა, არამედ ახალ ხუროთმოძღვრულ სხეულებს შეეწიაღა საღი, დაუზიანებელი ძველი ნაწილები და გადარჩენილი ცალკეული მთლიანი ნაგებობებიც.

ბეთლემის კლდისუბანში ჩატარებულმა კვლევამ[2] შესაძლებლობა მოგვცა შეგვეფასებინა ქალაქის დაზიანების ხარისხი და ამასთანავე, დაგვანახვა XIX საუკუნიდან დაწყებულ აღდგენით პროცესში ძველი სტრუქტურების გამოყენების წესი, სიძველეთა დაცვის არაერთხელ ნაცადი, ტრადიციად ქცეული ხერხები და მიდგომები.

ძველ გეგმებზე დაკვირვება ქუჩათა ქსელის სიძველეს და შუა საუკუნეების ქალაქგეგმარების დიდი ნაწილის გადარჩენას ადასტურებს; თითქმის ყველა სახლის სარდაფში XVII-XVIII საუკუნეების სადგომებია შეფარული. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბეთლემის კლდისუბნის არქიტექტურის შესწავლისას მიკვლეული და გამოვლენილი იქნა XVIII საუკუნის თითქმის მთელი მოცულობით შემორჩენილი სამი საცხოვრებელი სახლი. ყოველივე ეს ერთობლივად, შუა საუკუნეების თბილისის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოგვიდგენს და ს.ჭრელაშვილის სტატიაში აღნიშნული „რესტავრაციის» პროცესის

---

[1] С.Чрелаев, Тифлис в XIX столетии. Сб., Весь Кавказ, Тиф., 1903, გვ. 53-62.

[2] 2003 წელს UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის დივიზიის მხარდაჭერით დასრულდა კვლევითი და საფიქსაციო სამუშაოები და შედგა « ბეთლემის უბნის კონსერვაციის » გეგმა, ავტორთა ჯგუფი: მ.ბოჭოიძე, ნ.ცინცაბაძე, მ.ყენია, მ.სურამელაშვილი, მ.თუმანიშვილი, გ.ჭანუყვაძე, ვ.ყირმიზოვი, ე.მახათელაშვილი, თ.ჩხაიძე, მეც. კონსულტანტი: მ. მანია.

თვალსაჩინო ილუსტრაციას ახდენს. ბუნებრივია, XIX ს-ის აღდგენითმა პროცესმა განსაზღვრა უბნის საბოლოო სახე, მაგრამ მასში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა წინა პერიოდის ურბანული მემკვიდრეობის გადარჩენილმა ნაწილმა. ამ ნაგებობების მიკვლევამ კიდევ ერთხელ მთელი სიმწვავით წამოჭრა ისტორიული ქალაქის ფარგლებში საგულდაგულოდ შეფარული ძველი სახლების გამოვლენის საკითხი და მათი დაცვის აუცილებლობა; XIX საუკუნის თბილისური სახლის რიგი თავისებურებანი წინა პერიოდის ნიმუშებთან ერთად განხილვისას აჩვენებს საცხოვრებელი არქიტექტურის განვითარების უწყვეტობას და ამ ერთიანი ხაზის თვალის გასადევნებლად განუსაზღვრელად დიდია ყოველი ახალგამოვლენილი ნაგებობის მნიშვნელობა.

წერილობითი, გრაფიკული და ფიზიკურად მოღწეული მასალის შეჯერებით დასტურდება, რომ XIX საუკუნის დამდეგამდე დარბაზულ სახლთან ერთად თბილისში არსებობას აგრძელებდა საუკუნეების მანძილზე გამოცდილი, ადგილობრივი სამშენებლო მასალით აგებული, კლიმატთან და რელიეფთან შეთანხმებული საცხოვრებლის ტრადიციული ტიპები – კოშკური და ბანიანი სახლი.

როგორც ცნობილია, დარბაზული საცხოვრებლის მსგავსად, ნაკლებ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა გამაგრებული ქალაქური საცხოვრებლის მეორე ნაირსახეობა – კოშკური სახლიც. მას უნდა წარმოგვიდგენდეს ჟან შარდენისა და ტურნეფორის თანმხლები მხატვრების – გრელოსა და ობრიეს XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისის თბილისის ჩანახატებში გამოსახული შენობები კოშკური სილუეტებით. ამ ტიპის საცხოვრებელი სახლის XIX საუკუნის პირველი ნახევრის ორი ნიმუში შესწავლილი აქვს ვ. ცინცაძეს[3]. საბედნიეროდ, ბეთლემის კლდისუბანმა შემოინახა კოშკური საცხოვრებლის XVIII საუკუნის კიდევ ორი ნიმუში, რომელთა შიდა სტრუქტურა სახეცვლილია მოგვიანო ადაპტაციით. ახლად გამოვლენილი ეს ნიმუშები მნიშვნელოვნად გვეხმარება წარმოდგენა შევიქმნათ კოშკური ტიპის ქალაქური საცხოვრებლის გადაწყვეტაზე გვიან საუკუნეებში. იგი სტრუქტურით და მრავალფუნქციურობით მსგავსებას ამჟღავნებს ამავე პერიოდში ფართოდ გავრცელებულ საგვარეულო კოშკებთან[4] (მარტყოფის შინჯიკაშვილების და თუშმალიშვილების, ქსოვრისის რატიშვილების, მუხრანის შიოსუბნის მამაბურჯის და სხვა) და ამავე დროის საცხოვრებელ ციხე-მარნებთან (ჯანდიერების ციხე ახმეტაში, ბერაანთ ციხე ზემო ხოდაშენში, მაყაშვილების ციხე რუისპირში და სხვა)[5], რომლებიც სამეურნეო და სათავდაცვო ფუნქციის სადგომებთან ერთად ბუხრებითა და ნიშებით გაფორმებულ საცხოვრებელ ოთახებსაც შეიცავდა. ამ მრგვალი კოშკებისა და ოვალური გეგმის საცხოვრებელი ციხე-მარნებისგან განსხვავებით, კოშკური ტიპის საცხოვრებელს თბილისში სწორკუთხედში მოქცეული გარე ფორმები ახასიათებდა და განაშენიანებაში სხვა სახლებისგან ნაკლებ გამოირჩეოდა. საცხოვრებლის ეს ტიპი ბინების ვერტიკალური გეგმარებით, ერთმანეთთან კედლის სიგანეში განთავსებული შიდა კიბით დაკავშირებული ოთხი, ან ორი ოთახით სართულზე, ახალ ვითარებაში ყავლგასული აღმოჩნდა, აზრი დაკარგა კოშკის მსგავსად მიუდგომელმა მაღალმა სუბსტრუქციამ; მცირე ზომის კვადრატული ოთახები თაღოვანი და სწორკუთხა თახჩების, წალოების, საჭრაქე

---

[3] В Цинцадзе, Тбилиси. Архитектура старого города и жилые дома первой половины XIX столетия, Тб., 1958 , გვ. 74 -75; 87- 89.

[4] ვ. ბერიძე, XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, I ტ. თბ., 1983, გვ.187–192.

[5] ვ. ბერიძე, აქვე, გვ. 243-245; ლ. რჩეულიშვილი, გვიანი ფეოდალური ხანის კოშკური საცხოვრებლის ერთი სახეობა. ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები, თბ., 1994, გვ. 217–233.

ნიშების სიმრავლით, დაბალი ჭერით და პატარა ფანჯრებით მიუღებელი გამოდგა-თანამედროვე ესთეტიკისთვის და XIX საუკუნეში ქალაქური საცხოვრებლის ამ ტიპის მხოლოდ ერთეული ნიმუშები შეიქმნა.

ყოველივე ამის გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბეთლემის აღმართი №5 და №16ბ სახლებში (სურ. 1,2) XVIII საუკუნის სტრუქტურის მიკვლევა და მათში ტრადიციული კოშკური ტიპის საცხოვრებლის ამოცნობა. განაშენიანების ზედა ტერასის დასავლეთ ნაწილში არსებული ეს სახლები ერთიან შეკრულ ორგანიზმად წარმოგვიდგება (თავს იჩენს კოშკური შენობებისთვის დამახასიათებელი შეჯგუფება, რასაც ხაზს უსვამს ვ.ცინცაძე). ორივე ნაგებობა ყრუდ ამოყვანილ, გაერთიანებულ სუბსტრუქციაზეა წამომართული, რომელიც სათავდაცვო არქიტექტურისთვის დამახასიათებელ, კლდეზე დაფუძნებულ მაღალ, ჩაკირულ ძირს ქმნის. ერთბაშად იქცევს ყურადღებას ამ კედლის სიძველე – კვადრატული აგურის ტიხრებით გამიჯნული, ხან მიყოლებით დალაგებული ფლეთილი ქვებისა და დახრილად ნაწყობი ნახევარ-აგურებით შედგენილი ფრიზების მონაცვლეობა ცხოველხატულ სიბრტყეს ქმნის და, სავარაუდოდ, XVIII საუკუნის შენობების წინმსწრები სტრუქტურიდან გადარჩენილ ნაწილს წარმოგვიდგენს. ამ სიბრტყეს ზედა ნაწილებში ერწყმის და აგრძელებს შენობათა საკუთრივ აგურით ნაგები ხუროთმოძღვრული სხეულები, რომლებიც კიდეებში, ერთმანეთისგან განცალკევებით ვითარდება და შუაში, ამ სახლების გრძივ გვერდით ფასადებს შორის, ეზოს იქცევს; მის საფარს ქვეშ, ჩანს, XIX საუკუნეში გამართული, დღეისთვის შეუღწევადი ბანიანი სადგომი ყოფილა განთავსებული, რომლის არსებობას აღწერილი საყრდენი კედლის ზედა ზოლში, სახლებს შორის შემავსებელ აგურის წყობაში შემორჩენილი სასინათლო ღიობები ამუღავნებს მხოლოდ.

ბეთლემის აღმართი №16ბ აღწერილი სუბსტრუქციის მარცხენა კიდეს აგრძელებს და პირველ სართულზე კვადრატს მიახლოებული სამი ოთახი აქვს; მათგან ერთი წინაა გამოზიდული და დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს ვიწრო აივნიდან, ხოლო ორი – ერთმანეთის გვერდიგვერდ უკანა რიგს იკავებს. მეორე სართულზე ამ ორი ოთახის თავზე ასეთივე სადგომებია, ხოლო წინ გამოზიდული ოთახის ზემოთ განთავსებულ სათავსს უკან კიდევ ერთი ოთახი ემატება და ამ უბნისთვის დამახასიათებელი ნახტომისებური ვერტიკალური გეგმარების შედეგად გაორმაგებული ფართი იქმნება. შენობის ეს წინ გამოზიდული ვიწრო და მაღალი ნაწილი სილუეტით და პროპორციით კოშკს წააგავს. ნაგებობის ფორმის ანალიზი – აგურის ყრუ და მაღალი, გამოხატული ენთაზისის მქონე სუბსტრუქცია შერეული წყობით შესრულებული გაგრძელებით №5-კენ, პატარა და სქელკედლიანი, შედარებით დაბალჭერიანი, კვადრატს მიახლოებული ოთახები მცირე ზომის სწორკუთხა კარ-სარკმელთა ღიობებით, სადა ინტერიერი ნიშებით, XIX საუკუნის აზიდული პროპორციის სახლებისგან განსხვავებული, ერთგვარად არქაული ხასიათით, თავიდანვე იქცევდა ყურადღებას და მასში საცხოვრებლის კოშკური ტიპის ამოცნობის საშუალებას გვაძლევდა. 2006 წლის გაზაფხულზე, შენობის პირველ სართულზე ნატარებულმა სარესტავრაციო სამუშაომ (წარმართავდა ICOMOS–ის საქართველოს ეროვნული კომიტ.) გამოავლინა ორი ორსართულიანი დამოუკიდებელი პატარა ბინა გვიანდელი რემონტების დროს გაუქმებული, საინტერესო პლასტიკის მქონე შიდა, კედლის კიბეებით (სურ. 3). გაიხსნა კარის წირთხლში და კიბის უჯრედში განათებისთვის მოწყობილი ღრმა, თაღოვანი მოყვანილობის საჭრაქე ნიშები; გამოვლინდა ასევე ბუხრით, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის თახჩებით აღჭურვილი ინტერიერები გადახურვის მასიური, შავად შებოლილი კოჭებით, იატაკზე დატოვებული კლდის ფრაგმენტით. წინამდებარე ოთახის უკანა, ყრუ კედელზე გამოვლინდა ნიშების საინტერესო განლაგება: ორი დიდი ზომის თაღოვანი მოყვანილობის ორმაგი ნიში (დიდი ნიშების უკანა კედელში

იმავე მოყვანილობის მცირე ზომის ნიშებია შეჭრილი) მათ შორის განთავსებული ასეთივე მოხაზულობის საჭრაქე ნიშით (სურ. 4); გაიხსნა დასავლეთით მდებარე ოთახში შესასვლელი კარისა და ნიშის წირთხლების ქვედა, მკვრივ ბათქაშზე ამოკაწრული სხვადასხვა ზომის წრეში ჩასმული, ძირითადად ექვსფურცლა ვარდულები, მსგავსი დარბაზის დედაბოძების ორნამენტის გავრცელებული მოტივისა. ნახატის დაუდევრობის მიუხედავად, ყურადღება მიიქცია ამ მოტივის განმეორებადობამ, რაც თბილისის სასახლის სადგომების მოხატვის ტრადიციისა (როსტომის სასახლის აბანოს სგრაფიტოს ტექნიკით შესრულებული მორთულობა, ცნობა გივი ამილახვრის მეუღლის, თამარ ბატონიშვილის ნამზითვი სასახლის მოხატვის შესახებ აბელ კალატოზიშვილისგან და სხვა) და ამ პერიოდში შემჩნეული უცნაური, არცთუ ეფექტური მორთულობის გამოყენების შემთხვევების (მაგ.,მონაცრისფროდ მოჭიქული ჩვეულებრივი რიყის ქვები XVIII საუკუნის ბოლოს აგებულ მარტყოფის შინჯიკაშვილების კოშკში) გათვალისწინებით მოქალაქის საცხოვრებელის სახელდახელო გაფორმების ცდად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა. შენობის გახსნის შედეგებმა კოშკური საცხოვრებლისთვის დამახასიათებელი ბინების ვერტიკალური გეგმარება და წინასწარ განსაზღვრული ტიპის სისწორე დოკუმენტურად დაადასტურა.

№5 სახლის ქვედა სართული №16ბ-ს მსგავსად, კვადრატს მიახლოვებული სქელკედლიანი, ერთმანეთისგან ერუ კედლით იზოლირებული პატარა ოთახებისგან შედგება. ზედა სართულზე, კლდის უკან დახევის გამო საცხოვრებელი ფართი აქაც ორმაგდება. სახლის მთავარი ნაწილი მკვეთრად დამრეცი ფერდისკენ პერპენდიკულარულად, დამხმარე მოკლე ფრთა კი ტერასის გასწვრივ – ჰორიზონტალურად თავსდება. დღეს, ახალ მფლობელთა ხელში სართულები ერთმანეთისგან იზოლირებულია და დამახასიათებელი შიდა საკომუნიკაციო სისტემა გაუქმებულია, თუმცა ნაგებობის კოშკური ტიპი, სხვადასხვა მონაცემთა ანალოგიურობის გამო, აქაც უეჭველი გვგონია. №5 სახლის ვიწრო ფასადი საერდენი კედლის მარჯვენა კიდეს ეფუძნება. პირველი სართულზე ნაგებობას ორი კვადრატული, ერთმანეთისგან ერუ კედლით გამიჯნული (ამჟამინდელი მფლობელის უგუნური ქმედების შედეგად ფართის გამთლიანების მიზნით ეს კაპიტალური კედელი გასულ წელს მოიხსნა), დერეფნის მხრიდან დამოუკიდებელი შესასვლელების მქონე ოთახები ჰქონდა; ამ ოთახების იატაკის დონეთა სხვაობაც ხაზს უსვამს სადგომთა სხვადასხვა ბინების კუთვნილებას. მათი განიერი კედლები და ღრმა ნიშები საკვებით დასაშვებს ხდის აქ შემდგომში გაუქმებული შიდა კიბის არსებობას და დამოუკიდებელ კავშირს ზედა სართულის ოთახებთან. ბუნებრივია, ეს კიბეები ბინების მოგვიანო, სართულების მიხედვით გადანაწილების შემდგომ იქნებოდა გაუქმებული ან შენიღბული, მსგავსად №16ბ შენობისა. აქაც სიძველე მეტად აქვს შენარჩუნებული ქვედა სართულს, ხოლო ზედა სართული მკვეთრადაა სახეცვლილი XIX საუკუნის აივნებით, დიდი ღიობებით, ხანძრის შემდგომ აღდგენილი დამხმარე მკლავით და ბოლო წლებში განხორციელებული დაშენებით.

მიუხედავად შემდგომი ცვლილებებისა, საერთო მაღალ სუბსტრუქციაზე წამომართული კოშკური სილუეტის მქონე ეს ორი სახლი საინტერესო ანსამბლს ქმნის განაშენიანების ზედა ტერასაზე და შუა საუკუნეების განწყობას უნარჩუნებს უბანს.

**Resume**

**Manana Suramelashvili**

**18th Century Tower-like Dwelling in Betlemi Kldisubani**

Early 19th c. marks the beginning of the most essential transformation of the architectural image of Tbilisi. This was preconditioned not only by the changes resulted in the establishment of the Russian rule and increase of its accompanying Europeanization process, transformation of the mode of life, etc., but also destruction and burning down of the city by the troops of Agha-Muhamed Khan in September 1795. It also should be taken into consideration that, if some authors consider revival of Tbilisi to be a long-term process, others characterise it as quite a short-term one and, what is important, as, actually, a rehabilitation of the old. It seems most likely that, although historic quarters of the present city were, certainly, considerably renewed, but to a great extent through the use and adaptation of the old urban fabric, parts of the damaged or destroyed buildings, or more or less preserved structures.

This general viewpoint was definitely confirmed by the multidisciplinary study undertaken in Betlemi Kldisubani in 2003. Among its other findings, one of the most significant was revealing of a number of 17th-18th cc. fragments and, what is most important, of three, almost completely preserved, 18th c. residential houses. These comprise samples of the tower-like dwelling, a typology disappeared in the 19th c. Tbilisi – residential houses 5 and 16b, Betlemi ascent.

These houses are united in a group and erected on a common substructure (the latter might be of even earlier date than the houses proper). The houses are of brick, two-storeyed, 16b Betlemi ascent being better preserved and less transformed. The lower floor here comprises three compartments, while on the upper floor – due to the slope profile – one additional chamber is arranged, which contributes to the duplication of the living space. Restoration works undertaken in 2006 by ICOMOS Georgian National Committee had revealed fireplaces, wall niches, staircases cut in the depth of the walls, huge beams of the ceiling is these definitely archaic, square, rather low chambers, as well as fragments of the scratched wall decoration composed of the design of six-foil flowers. It was likewise revealed that the house contained two flats with vertical planning and chambers located one above the other. Residential house 5, Betlemi ascent, transformed to a greater extent and less studied, seems most likely to have been analogous.

სურ. 1. ბეთლემის აღმართი №16ბ

სურ. 2. ნიშები ოთახის კედელში

სურ. 3. ბეთლემის ადმართი №16ბ XIX ს-ში, ფოტო დ. ერმაკოვის კოლექციიდან

სურ. 4. ზედა სართულთან დამაკავშირებელი კიბე კედელში